

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2017 წლის 28 თებერვლის ბიუროს სხდომის

ოქმი №2

ქ. მცხეთა

ანტიოქიის ქ. №7, 16:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - ჯემალ სოლოლაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრთა სრული შემადგენლობის 14 წევრიდან - ბიუროს 12 წევრი (დანართი - რეგისტრაციის სატაბელო ფურცელი), საკრებულოს აპარატის უფროსი - ოთარ ჩხეიძე, საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსი - მელანო მამაცაშვილი.

დამსწრეთა რაოდენობით ბიუროს სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელი - თამაზ მოძღვრიშვილი.
2. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთა, სოფ. ახალუბნის ტერიტორიაზე, მოქალაქე მიხეილ შეყრილაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.35.216) ღვინის მარნისა და სასტუმრო-რესტორნის მშენებლობისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

ბიუროს წევრებმა ხელის აწევით ერთხმად განაცხადეს თანხმობა დღის წესრიგის დამტკიცებაზე.

სხდომის თავმჯდომარე გადავიდა საკითხების განხილვაზე.

მოისმინეს:

1. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელი - თამაზ მოძღვრიშვილი.



მომხსენებელმა თამაზ მოძღრიშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 27 თებერვლის № 07/2/2996 მომართვა, რომლითაც ითხოვენ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად. წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით გამგეობა ითხოვს მცხეთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ნუსხაში „1.45“ და „1.46“ ქვეპუნქტების დამატებას, კერძოდ: პირველ პუნქტს დაემატოს:

- „1.45“ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 166 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.27.533“;
- 1.46“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბორბლიანი ექსკავატორი „CATERPILLAR 432D“ სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით AB 214 B გამოშვების წელი - 2002, ფერი - ყვითელი.

სხდომაზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბორბლიანი ექსკავატორის „CATERPILLAR 432D“ საპრივატიზებო ნუსხაში ჩასმის საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია.

**სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ:**

**დავით პაპიაშვილი:**

- „მცხეთის მუნიციპალიტეტმა ეს ექსკავატორი შეიძინა 2012 წელს და 3 (სამი) თვე იდგა სოფელ ნიჩბისში და იყო მწყობრში, შემდგომ ექსკავატორი წაყვანილ იქნა და ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით იყენებდნენ ხევებში სამუშაოებზე. სოფელი ნიჩბისიდან ექსკავატორი სრულად გამართული წაიყვანეს და თითქოსდა სოფელ ნიჩბისში გაფუჭდა ეს ტექნიკა, არ შეესაბამება სიმართლეს. ჩემი ინფორმაციით, ექსკავატორი მგონი 2013 წლის ბოლოს, 2014 წლის დასაწყისში გამოვიდა მწყობრიდან და თუ იგეგმება მისი გაყიდვა, სასურველია, რომ ოპტიმალური თანხა მაინც იყოს შერჩეული“.

**გიორგი წონდელი:**

- „აუცილებელია, გარკვეულ იქნას, ექსკავატორის მოვლაზე ვინ იყო პასუხისმგებელი, ვის მიერ იქნა დაზიანებული, უნდა მოხდეს მისი აღდგენა დამზიანებლის მიერ და ტექნიკის დანიშნულებისამებრ გამოყენება და არა მისი საპრივატიზებო ნუსხაში შეტანა და გაყიდვა“.

ბიუროს წევრების მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნულ პროექტს და ერთხმად გადაწყდა, რომ განკარგულების პროექტი განხილვისა და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს 28 თებერვლის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.





მოისმინეს:

2. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთა, სოფ. ახალუბნის ტერიტორიაზე, მოქალაქე მიხეილ შეყრილაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.35.216) ღვინის მარნისა და სასტუმრო-რესტორნის მშენებლობისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

მომხსენებელმა გოჩა ლაბაურმა სხდომის მონაწილეებს გააცნო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 27 თებერვლის №08/2/2994 მომართვა, რომლითაც ითხოვენ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალუბნის ტერიტორიაზე, მოქალაქე მიხეილ შეყრილაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.35.216) ღვინის მარნისა და სასტუმრო-რესტორნის მშენებლობისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის, პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის, მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის შესაბამისად.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა წარმოდგენილი მასალები: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის სამსახურის განმარტებითი ბარათი და განხილვის ოქმი, შეთანხმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ( № 11/704 08.02.17წ.), რომელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“-ს 2017 წლის 06 თებერვლის №05/17 საოქმო გადაწყვეტილებით, მისაღებად ჩაითვალა ზემოთ აღნიშნული ობიექტის წინასაპროექტო კვლევა და გეგმარებითი დავალების პროექტი წარმოდგენილ იქნას სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბიუროს წევრების მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნულ პროექტს და ერთხმად გადაწყდა, რომ განკარგულების პროექტი განხილვისა და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს 28 თებერვლის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

**ბიუროს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა.**

- ✓ **1. სხდომის ბოლოს, ბიუროს წევრის -საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე თოდუას მიერ წარმოდგენილ იქნა 1 (ერთი) დადგენილების პროექტი საკრებულოს დღის წესრიგში დასამატებლად, კერძოდ, დადგენილების პროექტი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

✓ **კენჭისყრა**

ბიუროს მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნული დადგენილების პროექტის საკრებულოს დღის წესრიგში დამატების საკითხს და ერთხმად გადაწყდა, რომ დადგენილების



პროექტი განხილვისა და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს 28 თებერვლის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

- ✓ **ბიუროს წევრის** - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის **გოჩა ლაბაურის** მიერ წარმოდგენილ იქნა 1 (ერთი) განკარგულების პროექტი საკრებულოს დღის წესრიგში დასამატებლად, კერძოდ, **განკარგულების პროექტი:** „მცხეთა, სოფელ ნავდარაანთკარის ტერიტორიაზე, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.446) და მცხეთა, სოფელ გალავნის ტერიტორიაზე შპს „333 გრადუსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.200) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“.

✓ **კენჭისყრა**

ბიუროს მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნული განკარგულების პროექტის საკრებულოს დღის წესრიგში დამატების საკითხს და ერთხმად გადაწყდა, რომ განკარგულების პროექტი განხილვისა და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს 28 თებერვლის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის ოქმი შეადგინა მ.მამაცაშვილმა.

16:45 სთ.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი